<u>არაოფიციალური თარგმანი</u>

№ 54-190-16

ბულგარეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს თავის პატივისცემას სოფიაში საქართველოს საელჩოსადმი და აქვს პატივი აცნობოს, რომ ბულგარეთის რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) აღმასრულებელი საბჭოს წევრად, 2021-2024 წლების პერიოდისთვის, წარადგინოს პროფესორი პეტკო სალჩევის კანდიდატურა, რომელიც ჯანდაცვის დაზღვევის ეროვნული ფონდის ხელმძღვანელია.

ბულგარეთის მთავრობა თანმიმდევრულად მუშაობს მოსახლეობის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის განვითარებაზე და საზოგადოების ჯანმრთელობის განმტკიცებაზე, რისთვისაც WHO-სთან აქტიურად თანამშრომლობს ყველა დონეზე - ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე - როგორც გლობალური ჯანდაცვის საკითხებში წამყვან ავტორიტეტსა და ფასეულ პარტნიორთან. ბულგარეთი მზად არის, საკუთარი წვლილი შეიტანოს აღნიშნული ორგანიზაციის ყველაზე მნიშვნელოვანი აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციონირებაში, გლობალური გამოწვევებისთვის მდგრადი პასუხის გასაცემად ქვეყნების ჯანდაცვის ეროვნული სისტემების შესაძლებლობების გაზრდით, პრევენციისთვის, მზადყოფნისთვის, რეაგირებისა და რეგიონალური თანამშრომლობისთვის ძალისხმევის გასაზრდელად. ბულგარეთის ხელისუფლება COVID-19-ის ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად დროულად და წარმატებულად იყენებს თანამედროვე მეთოდებს.

ბულგარეთის მთავრობა დარწმუნებულია, WHO-ს აღმასრულებელი საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში, ბულგარელი კანდიდატი საკუთარი ღრმა სამედიცინო ექსპერტიზითა და გამოცდილებით სარგებელს მოუტანს ორგანიზაციის ჯანდაცვის რეგიონალური პოლიტიკის განვითარებას. პროფესორი სალჩევი გამოირჩევა მდიდარი საერთაშორისო გამოცდილებით და სოლიდური აკადემიური წვლილით საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ჯანდაცვის სისტემის ფინანსირების, ეპიდემიოლოგიის, ჯანდაცვის განვითარებისა და პრევენციის სფეროებში, ისევე როგორც მმართველობის მნიშვნელოვანი პრაქტიკით, როგორც ჯანდაცვის დაზღვევის ეროვნული ფონდის ხელმძღვანელი. კანდიდატის დეტალური ბიოგრაფიული მონაცემები თანდართულია.

ბულგარეთის მთავრობა მნიშვნელოვნად დააფასებს ევროპის რეგიონის წევრი ქვეყნების მხარდაჭერას მისი კანდიდატურისადმი, WHO-ს აღმასრულებელი საბჭოს წევრობაზე, 2021-2024 წლების პერიოდისათვის.

ბულგარეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო სარგებლობს შემთხვევით, რათა განუახლოს სოფიაში საქართველოს საელჩოს თავისი ღრმა პატივისცემა.

სოფია, 4 ნოემბერი, 2019 წ.

საქართველოს საელჩო
<u>სოფია</u>